ცნობის ფურცელი

№ 1972 შაბათი, 2 ნოემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1972

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელოზაზე უნდა გამოგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

„ცნობის ფურცლისა“ რედაქციისაგან

მდგომარე წლის 15 ნოემბრიდან

სურათებიანი დამატება

გამოვა კვირაში ორჯერ

ხუთშაბათობით და კვირაობით.

ფასი წინანდელი დარჩება, ესე იგი, „ცნობის ფურცელი“ დამატებით ეღირება წელიწადში 6 მანეთი.

ჟურნალ „**მოამბის**“ ხელის მომწერთ „**ცნობის ფურცელი**“ გაეგზავნებათ ორივე დამატებით.

„მოამბეს“ წლიური ფასი 10 მან., ქალაქ გარედ გაგზავნით—11 მან.

ხელის მომწერთ ვსთხოვთ გამოწერის დროს რაც შეიძლება ძლიერ **გარკვევით** მოიწეროს **გვარი, სახელი, მამისახელი და ქალაქის სახელი**, ამასთანავე გარკვევით დასწეროს. რომელი გამოცემა ჰსურს, „ცნობის ფურცელი“ „მოამბე“ თუ მარტო „ცნობის ფურცელი“, ვინც მომავალ 1903 წლისათვის დაიკვეთავს გაზეთს ან ჟურნალს და წლიურს ფასს წინადვე შემოიტანს, გამოცემანი გაეგზავნება მდგომარე წლის 1 დეკემბრიდან მომავალ 1903 წლის დამლეგამდე.

ხუთშაბათის დამატების ნომრებში დაიბეჭდება **ემილ ზოლას** უკანასკნელი რომანი **სიმართლე** „Vérité“.

წარმოდგენა 11. ტელეფონი 617

✿ **დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა** ✿

ქართული თეატრი

კვირას, 3 ნოემბერს 1902 წელს.

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

✦ **დაკლებულის ფასებით** ✦

I

მეორედ გაყმაწვილება

დრამა 4 მოქ. გადმ. თავ. დ. ერისთვის მიერ.

II

დუელი

ვოდევ. 1 მოქმ., გადმოკ. ნ. გალუსტოვის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ.ლეჟავა, ნ. რონელი; ბ-ნნი დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. შათირიშვილი, სარველაძე და სხვ.

ფასები დაკლებულია

დასაწყისი უადგილ 12 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ხალხის მტერი“, „დენიზა“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი

(ტელეფონი № 617)

დღეს, შაბათს, 2 ნოემბერს, ხარკოვის სამეფო დასის მიერ,

წარმოდგენილი იქნება

ფაუსტი

ოპერა 5 მოქმ. მუსიკა ჰუნოსი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი არციბაშევისა, დობრჟანსკისა, ბაუერ; ბ-ნნი: დნეპროვსკი, სუნცოვი, სერგეევი, პეტროვი და სხვანი. **კაპელმეისტერი** მ. ბუკშა.

დასაწყისი სადამოს 8 საათზე.

კასსა დღეს დიდის 10-დან ნაშუადღევის 3 **საათამდე** და **სად. 6** საათიდან **წარმოდგენის** გათავებამდე. **ფასები** დაკლებულია.

ხვალ, კვირას, 3 ნოემბერს, ა. ჰ. ბონაჩიჩის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება „ჰუგენოტები“.

ორშაბათს, 4 ნოემბერს, დანიშნულია ვ. მ. დობრჟანსკის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება „ცარსკაია ნევესტა“.

მოკლე ხანში დაიწყება წარმოდგენები ქ-ნ მ. ნ. ინსაროვის მონაწილეობით.

მზადდება წარმოსადგენად კომიკური ოპერა **„ციგანსკი ბარონ“.**

მთავარი რეჟისორი ივ. ფიტოლევი.

(ნ. 0—35)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი დ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. ფულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ბ. ბ. ჭალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოლევი.—სამარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ძ. ვ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

დ. ა. ბედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. ვ. ფანასეტოლვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. ბ. ბარხუტოლვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ვ. ვ. ამბარდანოლვი—სიფილისისა, კანისა და სამარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. ვ. სოკოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

ს ა ხ ლ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ბ. ჭალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და უკვიდოსატრა 5—6 საათამდე. (მეორე-ქ. მეურნე და ბაქტერიოლოგიური კვლევა.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა **50** კაპ.; ოპერაციები მორიგებით. **კრიოტები—სამი** მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სასდა სკვანსქვიდისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ).

ექიმი

ალექსანდრე ვიორვის ძე

მალაშვილი

(მიხეიდის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

კბილის ექიმი

ივანე ჰავლეს მე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

საზღვარ-გარედ

გერმანია. მთავრობა ცდილობს, რომ როგორმე რეიხსტაგის უმეტესობას სადამოო ტარიფის თაობაზე მოურიგდეს. ამბობენ, ამ აზრით მთავრობამ მოლაპარაკება გამართა კონსერვატორებსა და კლერიკალებთანაო. კლერიკალების გაზეთი „გერმანია“ იუწყება, მოლაპარაკება გაიმართა კიდეცაო, მაგრამ კლერიკალების მეორე გაზ. „კელნიშე ფოლკს ცაიტუნგ“-ი იტყობინება, რომ ნამდვილი მოლაპარაკება ჯერ არც კი დაწყებულაო. ეს გაზეთი სწერს: ამ ჟამად მთავრობაცა და კლერიკალ-კონსერვატორების პარტიებიც გაჩუმებულნი არიან. ორივე მხარე მარჯვე წამს ელის. შეთანხმებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას რამე, როცა მთავრობა უმეტესობის სურვილის დაკმაყოფილებას მოინდომებს. დასასრულ გაზეთი ძლიერა ჰკიცხავს გრაფ ბიულოვს: თუ მთავრობასთან ბრძოლა გაგრძელდა, რეიხსტაგის შინაგანი წყობილება დიდს საფრთხეში ჩავარდებაო; ბიულოვი კი ყურსაც არ იბერტყს ამაზეო.

კათოლიკეთა პარტიის დეპუტატებს ერთმანერთში მოლაპარაკება აქვთ გამართული იმ აზრით, რომ მოქმედების პროგრამა უფრო კარგად შეიმუშავონ.

მთავრობას იმედი აქვს, გაჭირვების დროს ნაციონალ-ლიბერალების პარტია გამიწევს დახმარებასაო, მაგრამ ამ პარტიას სულაც არა ჰსურს, მთავრობას შუამდგომლობა გაუწიოს კათოლიკებისა და აგრარიების პარტიებთან. ნაციონალ-ლიბერალები ელიან, რომ მინიმალური სადამოო ტარიფი დაწესდეს მხოლოდ მაშინ მიემხრობიან მთავრობას. ასე რომ, ჯერ კარგად არავინ იცის, თუ როგორ მოიქცევიან ნაციონალ-ლიბერალები. კათოლიკეთა და აგრარიების პარტიებიც წინაალმდეგობას უწევენ მთავრობას. გამოდის, რომ მთავრობა ამ საქმეში მარცხენა პარტიებს უნდა მიეკედლოს, მაგრამ ეს პარტიები სხვა საქმეებში არას დროს დახმარებას არ გაუწევენ მთავრობას. ისეთ გაჭირვებაშია მთავრობა, რომ შეიძლება ეხლანდელი რეიხსტაგი დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოს.

ავსტრო-ჰუნგრეთი. მთავრობის კანონ-პროექტი ჯარის მომატების თაობაზე ორმავე პარლამენტმა დაიწუნა (ჰუნგრეთისამა და ავსტრიისამ). მთავრობამ ეს კანონ-პროექტი უკან გაიტანა, ახალი შეადგინა და 24 ოქტომბერს ავსტრიის სამხედრო მინისტრმა ეს ახალი პროექტი ავსტრიის პარლამენტს წარუდგინა. მთავრობა სთხოვს პარლამენტს, რომ 1903 წელს ჯარში 125 ათასი კაცი მეტი გავიწვიოთო; აქედან ავსტრიას 71,562 კაცი შეჰხვდება. ამას გარდა განზრახვა აქვთ, სათადარიგო ჯარსაც 14,500 კაცი მოუმატონ.

შეიტანა თუ არა სამხედრო მინისტრმა ახალი კანონ-პროექტი, წამოდგა ჩეხი-დეპუტატი კლოფაჩი და დაუყოვნებლივი წინადადება წარადგინა იმის თაობაზე, რომ სამხედრო ექიმები „უსინიდისოთ“ ექცევიან ჯარის-კაცებსაო. კლოფაჩმა სასტიკი გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა. სამხედრო მინისტრმა ველზერგეიმმა მოახსენა პალატას, რომ გამოძიება სწარმოებს კიდეც და დამნაშავენი შესაფერისად დაისჯებიანო. მინისტრი ბეჯითად ამტკიცებდა, რომ ჯარს ტყუილად უსაყვედურებენ და უსინიდისო ქცევას აბრალებენო; კლოფაჩის ქცევაც სასტიკად დაჰგმო: დეპუტატის უფლებას ამოეფარა და მეტის-მეტად ცუდის სიტყვებით მოიხსენია ჯარიო; დეპუტატი რომ არ იყვეს, ეგ სიტყვები არ შერჩებოდა კლოფაჩსაო. ამ დროს ჩეხებმა, სოციალისტებმა და პანგერმანისტებმა პროტესტის ნიშნად ყვირილი დაიწყეს და მინისტრს სიტყვა გააწყვეტინეს. ჩეხმა დეპუტატმა ფრესლმა შეჰნიშნა: მინისტრს უფლება არა აქვს დეპუტატს ისე მოექცეს, როგორც უნტერ-ოფიცრებსაო; სამხედრო სამინისტრო არას დროს არ ასრულებს დეპუტატის სურვილსაო. სხვა ჩეხებმაც საყვედური გამოუცხადეს მინისტრს. მინისტრმა უფრო მორიგების კილოზე მისცა პასუხი და პოლონელ დეპუტატის გნევოშის წინადადებით ამ საქმეზე კამათი მოისპო, მაგრამ ჩეხებმა და პანგერმანისტებმა ისეთი შფოთი ასტეხეს, რომ კამათი ხელ-მეორედ გაიმართა და რეიხსრატმა დაადგინა, კლოფაჩის წინადადება დაუყოვნებლივ გავარჩიოთო. კიდევ ერთი დეპუტატი შეეკითხა მთავრობას და მერე კი პალატა დეპუტატ კრამარჟის წინადადების განხილვას შეუდგა.

კრამარჟმა მოითხოვა, კერბერის პირველ სიტყვის თაობაზე დაუყოვნებლივ კამათი გაიმართოსო. პალატა ხელად დასთანხმდა კრამარჟის წინადადებას და კამათიც დაიწყო. ჩეხმა პანტუჩეკმა მთავრობის პრინციპები გაარჩია: დეპუტატის აზრით, რაც პირველ მინისტრმა ენების უფლების შესახებ გამოაცხადა, ავსტრიის ძირითად კანონებს ეწინააღმდეგებაო, არა თუ ჩეხებს არაფერს უფლებას არ ანიჭებს, პირიქით, უწინდებულ უკანონობას აწესებსო. ამიტომ ჩეხიის ერი გადაჭრით უარ-ჰყოფს კერბერის პროექტსაო. სლოვენელმა დეპუტატმა პლოიმ გამოაცხადა: სლოვენებს არაფერი საბუთი არა აქვთ მთავრობას ენდონ რამეში, მაგრამ ჩვენი პარტია მაინც დახმარებას გაუწევს კერბერსაო, რომ მორიგ საქმეების შესრულება შეგვაძლებინოთო. რა საბუთი აქვს მთავრობას, რომ მარტო ბოჰემიისა და მორავიისათვის შეადგინა კანონ-პროექტი ენების უფლების თაობაზეო. სამხრეთელი სლავიანებიც თხოულობენ, რომ მთავრობამ ყველა სლავიანთა ენებს თანასწორი უფლება მიანიჭოს. აქ სხდომა შესწყდა.

მთავრობამ ოთხის თვის დროებითი ბიუჯეტი წარუდგინა პარლამენტს.

✦ ავსტრიაში ადგილობრივ ლანდტაგების წევრთა არჩევანი მოხდა. ამ არჩევანის შედეგი ნელ-ნელა ირკვევა. ქვემო ავსტრიის ლანდტაგის წევრთა არჩევნის დროს, ვენაში ძლიერ გაუმარჯვნიათ ანტისემიტებს. 20 წევრის ადგილი მიუღიათ, 6-ით მეტი, ვიდრე აქამდე ჰქონდათ; სულ კი ავსტრიის დედა-ქალაქში 21 წევრს ირჩევენ. მე-21 ადგილიც სადავოდ გახდა, ამ ადგილზე ანტისემიტების მოწინააღმდეგედ სოციალისტი ადლერი გამოვიდა.

ინგლისი. ფინანსთა მინისტრმა რიჩიმ პალატას კანონ-პროექტი წარუდგინა იმის თაობაზე, რომ ტრანსვაალისა და ორანჟეს კოლონიების ბურებს 8 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიეცესო. კონსერვატორებმაც და ლიბერალებმაც ყველამ ერთნაირად მოიწონეს მთავრობის აზრი და პალატამ ერთხმად დაამტკიცა პროექტი. ოპოზიციამ მარტო ის შეჰნიშნა მთავრობას, რომ ძლიერ ცოტას აძლევთ ბურებსაო.

პირველად ლიბერალ-დეპუტატმა რ. რეიდმა ილაპარაკა. რეიდმა სთქვა: მთავრობას ძლიერ ცოტა დაუნიშნავს ბურებისათვისაო. მაგ ფულით ტრანსვაალისა და ორანჟეს კოლონიების ბურები ვერ აღადგენენ თავიანთ კეთილ-დღეობასაო. ინგლისი-კი მოვალეა, ბურებს ყველა იარები მოურჩინოსო. ორატორმა ჰკითხა ჩემბერლენს, რამდენი ბური იტანჯება კიდევ თავშესაფარ-ბანაკებშიო და რამდენი ტყვე არ დაბრუნებულა სამშობლოშიო. რეიდის შემდეგ ვილიამ ჰარკორტმა ილაპარაკა. ჰარკორტმა გამოაცხადა: „ეგ ფული ძლიერ ცოტაა და ვერც არას უშველის ბურებსაო. თუ უნდათ, რომ ბურების კოლონიებში ისეთივე კეთილ დღეობა აღადგინონ, როგორიც ომის წინად იყო, იმდენივე ფული უნდა დახარჯონ, რამდენიც ომზე დაჰხარჯესო“.

ჩემბერლენმა უპასუხა: „ორატორების ყველა კითხვაზე პასუხის მიცემა ეხლა არ შეიძლიან. სამხრეთ-აფრიკას მივდივარ, ყოველი საქმე ადგილობრივ გამოვიკვლიოთ. ეხლა კი სრული ცნობები ხელთ არა მაქვს. ომის გათავების დროს თავ-შესაფარ ბანაკებში 103 ათასი სული იყო; ეხლა კი სულ 34 ათასი-ღაა, ომის ბოლოს ტყვეების რიცხვი 24 ათასამდე ავიდა; ამათგან 14 ათასი სამშობლოში დაბრუნდა და 7 ათასიც წლის დამლევამდე დაბრუნდება. ორატორები ამტკიცებდნენ, 8 მილიონი გ. სტ. არა კმარა ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის კეთილდღეობის აღსადგენადაო. ნუ გავიწყდებათ, რომ არც ერთი ომი არ ჩაივლის ხოლმე მუქთად. როცა რომელიმე ერი ომს იწყებს და მარცხდება, ამისთანა ერს უფლება აღარა აქვს მოითხოვოს, რომ ომის შემდეგ იმისი მდგომარეობა გაუმჯობესდეს. დამარცხებული ერი ყოველთვის მეტს ზარალშია, ვინემ გამარჯვებული. სრულებითაც არა ვართ მოვალენი, ბურებს ომისაგან მოტანილი ზარალი ვუზღათ და უაზრობა იქნება, რომ შემწეობას ამ თვალით შევხედოთ. მარტო ძალზედ გაჭირვებულებს უნდა გავუწიოთ შემწეობა. ამნაირ შემწეობისათვის კი, ჩემის აზრით, 8 მილ. გ. სტ. საკმაოა: თუ ეს ფული არ ეყოთ, მაშინ მთავრობა კიდევ სთხოვს პარლამენტს კრედიტსა. ყოველ შემთხვევაში ჯერ ასე არავინ მოქცეულა: გუშინდელ ჩვენ მტრებს ვეხმარებით. ეს ახალი ამბავია ისტორიაში. ამ საქმეში კაცთ-მოყვარეობის გრძნობა ცალკე გვამოქმედებს, პოლიტიკური მოსაზრება ცალკე. ჩვენ ვცდილობთ, ბურები ახალ წესებს შევურიგოთ. მე იმ აზრით მივდივარ სამხრეთ-აფრიკას, რომ ნაირ-ნაირ ერთა შეერთებას ხელი შევუწყო; აფრიკაში ერთი დიდებული ერი უნდა იყოს ინგლისის ბაირაღ ქვეშ.“ როცა ჩემბერლენმა ლაპარაკი გაათავა, პალატამ ძლიერი ტაშის ცემა ასტეხა.

ახალი ამბავი

✦ გზათა მინისტრის ამხანაგი ბ-ნი მიასოედოვ-ივანოვი 31 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე, მოვიდა ტფილისს ბაქოს გზით. იმავე საღამოს, 11 საათზე, გუმბრს წავიდა, საიდანაც გუშინ, 1 ნოემბერს, საღამოს $6^1/_2$ საათზე ისევ ტფილისს დაბრუნდა და ერთის საათის შემდეგ ბაქოს წავიდა. მინისტრის ამხანაგს თან ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსი ბ-ნი ივანოვსკი ახლდა.

✦ პეტერბურგიდან ამბავი მოვიდა, რომ ფინანსთა სამინისტროში მალე დასრულდება განხილვა იმ პროექტისა, რომელიც დიდი ხანია შეადგინა ტფილისის გუბერნატორად ყოფილმა თავ. გ. დ. შერვაშიძემ სასოფლო-სამეურნეო თანხების შედგენისა და ხმარების შესახებ.

✦ ამას წინად მეტეხის საპყრობილეს მღვდელმა მ. ჯავაშვილმა სთხოვა გუბერნატორს, ნება დაერთოთ **პატიმართათვის ნაკვირაო სკოლა** გაემართა. გუბერნატორს მოუწონებია მ. ჯავაშვილის შუამდგომლობა და ნება დაურთავს. ჯავაშვილს ფულიც შეუკრებია სკოლის მოსაწყობად და წიგნებისა და სხვა საჭირო მასალის მოსაპოებლად. ამავე საქმისთვის საგუბერნიო საპატიმროთა კომიტეტს შეუწირავს 120 მანეთი. სკოლა უკვე მზად არის და ხვალ, 3 ნოემბრიდან, შეუდგებიან პატიმართა სწავლებას. მასწავლებლობა უკისრნიათ ბატონებს ხრამელაშვილს, დუმბაძეს და ბუქურაულს. სიამოვნებით ვეგებებით ამ კეთილ საქმეს და ვუსურვებთ საქმის დამწყებთ სრულს გამარჯვებას.

✦ ქალაქის გამგეობის **ნაადმშენებლო განყოფილების შტატები** უნდა შეიცვალოს და ამ განყოფილებაში ახალი წესებიც უნდათ შემოიღონ. ამის შესახებ პროექტი კიდეც შეუმუშავებია განყოფილების გამგეს ინჟენერ ენფიანჯიანცს და წარუდგენია ქალაქის გამგეობისათვის.

✦ ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, **შეერთებული სხდომა ჰქონდა** ტფილისის ქალაქის გამგეობასა და ხორცის დუქნების გამგე კომისიას. კომისიამ განიხილა შრომის მოყვარე სახლის გამგეობის თხოვნა,—დაეთმოს იმას უფასოდ ან ფას-დაკლებით ქალაქის დუქნებიდან ხორცი. ეს თხოვნა არ შეიწყნარეს. ამავე სხდომაზე განიხილეს ავლაბრის ოც მცხოვრების განცხადება. ისინი თხოულობენ, ხორცის დუქანი კახეთის მოედანზე გაიმართოს, რადგანაც იგი უფრო მოხერხებული ადგილიაო. სხდომამ ეს განცხადება უყურადღებოდ დასტოვა და გადასწყვიტა დუქანი გულასპოვის სახლში მოეწყოს. ბოლოს სხდომამ დაამტკიცა ხორცის დუქნების გამგეს ანგარიში, ამასთან დაადგინა დაიბეჭდოს იგი.

✦ ამას წინად ხორცის დუქნების გამგე კომისიაში განცხადება შეიტანა რამდენმამე კაცმა, თხოულობდნენ ქალაქის საყასპოდან მსურველთ მიჰყიდონ ხოლმე დაკლული საქონელი ერთ ფუთზე მეტიც. კომისიისა და ქალაქის გამგეობის შეერთებულმა სხდომამ გადასწყვიტა ერთ ფუთზე მეტი ხორცი მიჰყიდონ **უპატიოსნებს** ქალაქის განაპირა ადგილებში, სადაც ჯერ ქალაქის დუქნები არ არის მოწყობილი. ამავე სხდომაზე, თავ. ჩერქეზიშვილის წინადადებით, გადაწყვიტეს ხორცის დუქნებში იქონიონ განსაკუთრებული წიგნები, სადაც ყველას შეეძლება, თუ რამ უწესოებას შეამჩნევს, საჩივარი ჩასწეროს.

✦ ბათუმის ქუჩაზე გენერალ-მაიორს დოლუხანოვს **ქუჩიდან ადგილი მოუჭრია** და თავისთვის შეუკავებია. გუშინ ეს ადგილი გამგეობის წევრმა ბ-ნმა ენფიაჯიანცმა და ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწემ დათვალიერეს და აღმოაჩინეს, რომ გენერალ დოლუხანოვს 88 ოთხ-კუთხი საჟენი მიუთვისებია. გამგეობა საჩივარს იწყებს.

ასეთი ამბავი ჩაუდენია ძველ-ნავთლუხის ქუჩაზე ვინმე ნუნუფაროვს: ამ ქუჩიდან ადგილი მოუჭრია და თავისთვის შეულობნია. ეს ამბავი მხოლოდ მაშინ აღმოჩნდა, როცა ნუნუფაროვის მეზობელს ანანოვს საჩივარი განუცხადებია სასამართლოში, კიდევ ადგილის გამო სადავო საქმის შესახებ. ნუნუფაროვს ქალაქი ჩივილს უპირებს.

✦ 31 ოქტომბერს გამგეობისა და ხორცის დუქნების კომისიის სხდომაზე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა ლაპარაკი აღძრა **ხორცის ნიხრის დაკლებაზ** შესახებ. კომისიამ ეს საქმე გადაუწყვეტელი დასტოვა.

✦ ქალაქის მებაღე სთხოვს გამგეობას, **ალექსანდრესა** და **პუშკინის ბაღები** მთელი ღამე განათებული იყოს, რომ უფრო უკეთესად მოუარონ ზედამხედველებმა, თორემ ღამ-ღამეობით ამ ბაღებს აფუჭებენ და იქიდან ბევრი რამეც იკარგებაო.

✦ გუშინ, საღამოს $7^1/_2$ საათზე, ტფილისიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზით ქუთაისს წავიდნენ ტფილისის დედათა პირველ გამნაზიის მოსწავლე-ქალები. **მოსწავლენი გელათს მიდიან** გელათის მონასტრის დასათვალიერებლად. სულ ამ მგზავრობაში მონაწილეობას იღებს 50 მოსწავლე-ქალი.

✦ ჩაქვიდან გვატყობინებენ: 31 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, რკინის გზის ლიანდაგის ისართან **ექვსი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა** საუფლისწულო მამულის ბუხჰალტერს. ბოროტ-მოქმედებმა გაძარცვეს იგი, ამასთან მძიმედაც დასჭრეს. ბუხჰალტერი მატარებლიდან გადმომხტარა ამ სადგურზე და საუფლისწულო მამულში წასულა ფეხით, რადგან იქვე, ერთის ვერსის მანძილზე, მდებარეობს. ამ დროს დასცემიან ბოროტ-მომქმედნი. თან ბუხჰალტერს 4000 მანეთი ჰქონია, მაგრამ ძალიან ცოტა წაუღიათ, რადგან ფული დამალული ჰქონდა თურმე. დაჭრილის მისაშველებლად მუშები გაქანებულან. მაგრამ ბოროტ-განმზრახველთ იმათთვისაც უსროლიათ და ერთი მძიმედ დაუჭრიათ.

✦ ქალაქის არხიტექტორს ბ-ნს **მედიქ-ბეგდიარიანს** მადაკანის ქუჩაზე დაუთვალიერებია ვინმე სარქისოვის სახლი, რომელიც თურმე ისეა აშენებული, რომ ხალხს არ უდრის და ცეცხლისაგან დიდი შიში აქვს. ამას გარდა გარე კედელი მესამე სართულისა ცეცურ-ნახევარითაა აშენებული. იმავე ქუჩაზე მეზობლის ეივაზოვის სახლიც ამგვარადვე აშენებული აღმოჩნდა. ბ-ნ მედიქ-ბეგდიარიანს ოქმი შეუდგენია და გამგეობას სთხოვს, დაანგრიოს სახლის პატრონები დანიშნულ ვადამდე, რაც აღნიშნულ ნაკლი აქვთ შენობებს, მოაწესრიგონ.

✦ როგორც გვატყობინებენ, 31 ოქტომბერს, დამის 2 საათზე, ვიდაც შეიარაღებულ ბოროტ-განმზრახველთ გაძარცვეს თავის სადგომში ამიერ-კავკასიის მე-327 ვერსზე გზის დარაჯი. ერთ ბოროტ-განმზრახველს რევოლვერი უსროლიათ.

✦ გომიდან გვატყობინებენ: 30 ოქტომბერს, როდესაც მატარებელი წავიდა, ვაგონში ვიღაც ჯიბგირმა მგზავრს აჯიეს 250 მანეთი ამოაცალა ჯიბიდან.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ როგორც გავიგე, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე და ქუთაისის ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე მომავალ თვის პირველ რიცხვებში აპირებენ პეტერბურგს გამგზავრებას. ქალაქის მოურავსა ჰსურს, რომ სოჩაში ჩაუსწროს გზათა მინისტრს, რომელთანაც უნდა იშუამდგომლოს ქუთაისზე რკინის გზის გაყვანის შესახებ.

✦ ბ-ნ რელიგიონის თხოვნის შემდეგ ქუთაისის საბჭოს ხმოსანმა ფონ-შულცმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა გამგეობას ქალაქში ელექტრონულ განათების შემოღების შესახებ. მოხსენების ავტორის აზრით, ქალაქის უმთავრეს ქუჩების, ე. ი. ქალაქის ორ-მესამედ ნაწილზე მეტის, გასანათებლად საჭირო იქმნება 75 ელექტრონის ფარანი. ელექტრონულ განათების შემოღებას დასჭირდება ერთ-დროულად სულ 90,000 მანეთი და ყოველ-წლიურ ხარჯად 10,000 მან. ყოველ-წლიური შემოსავალი კი, 1000 კერძო აბონენტი რომ ეყოლოს ქალაქს და თითო ლამპა თექვსმეტის სანთლის ძალისა თვეში რომ ორ მანეთად ვიანგარიშოთ, იქმნება 24,0000 მანეთი. ამ გვარად ყოველ წლიურად წმინდა მოგება დარჩება ქალაქს, 14,000 მანეთი. ამას უნდა მიემატოს ის ფული, რომელიც ეხლა გადადებულია ქუჩების ნავთით გასანათებლად, ი. ე. 8,000 მან.; მაგრამ ამ 8,000 მანეთიდან ნახევარი, ე. ი. 4000 მანეთი, ისევ დანარჩენ ქუჩების განათების გაძლიერებას რომ მოხმარდეს, მაშინ ყოველწლიური წმინდა შემოსავალი დარჩება ქალაქს 18,000 მანეთიო. შემდეგ ხმოსანი ეხება იმას, თუ როგორ უნდა მოახერხოს უფულო

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან

II

მზადება მეფის პროცესიისათვის.—ხალხის სიყვარული მეფისადმი.—ხალხში სანახავებისადმი სიყვარული ძლიერდება. —თეატრები და კაფე-შანტანები —მათი გავლენა ქუჩის ხალხის ზნეზე.—ქუჩის ხალხის უზრდელობა და სიბოროტე. —მუშა ხალხის მოზარდ ყმაწვილების უსაქმობა და უპატრონობა.

მეფის ავადმყოფობის გამო, როგორც ვიცით, მარტო გვირგვინის კურთხევის დღესასწაული კი არ გადადეს, თითონ ის გზაც კი ძლიერ შეამოკლეს, რომელზედაც, წინად შედგენილის გეგმის თანახმად, პროცესიას უნდა გაევლო დღესასწაულის დროს. მდინარე ტემზას გაღმა მდებარე უბნებზე, სადაც მრავალი ფაბრიკაა გამართული და მრავალი მუშა ხალხი სცხოვრობს, სულ არ გაუვლია პროცესიას; ამ უბნებმაც ნამდვილად რამდენიმე ასი ათასი მანეთი დაჰხარჯეს ქუჩების მოართვასა და ხალხისათვის საყურებელ და დასაჯდომ ადგილების გამართვაზე; პროცესიამ აღარ გაიარა და ამით ყველას დიდი ზარალი მიეცა: დასაჯდომების გამმართველნი დაიღუპნენ; სახლის პატრონებს თითოს რამდენიმე ასი მანეთი დაეკარგათ ბალკონებსა დაფანჯრებში გამართულ დასაჯდომებისა; მთელს ხალხს კიდევ—დიდებულისა და მდიდრულ პროცესიის ნახვა მოაკლდა.

მაშინვე გადასწყვიტა მეფემ, მერე, შემოდგომაზე უთუოდ დიდებულის პროცესსიით გავიარო წყალ-გაღმა მდებარე ლონდონსაო და აი ეხლა შუა ლონდონისა და გაღმა ლონდონის უმთავრესი ქუჩები ხელმეორედ მოირთო სადღესასწაულო არკებით, ბაირაღებით, ვენეციურის ხეებით, ყვავილებით, გაზისა და ელექტრონის ფარნებით, ლამპებითა და ღერბებით. მორთულობა საკვირველად მდიდრულია, ჭრელი და ძვირფასი, მაგრამ ამავე დროს ტლანქე, მძიმე და უგემური. სწორედ გასაკვირველია, რომ ინგლისელებს ასე აკლიათ დეკორატიულ ხელოვნების გემოვნება. მორთვასა და ილუმინაციებზე დიდი ხარჯი წავიდა და ყველა ქუჩებსა და მოედნებში მარტო სანჯემსის ქუჩაა კოხტადა და შნოიანად მორთული, ისიც იმიტომ, რომ ამ ქუჩის მორთვა იტალიელ ოსტატებს ჰქონდათ იჯარით აღებული. თითონ ჯონ ბულს-კი (ინგლისელების მეტი სახელია) ამ საქმის შნო არა აქვს, თითქმის არა ესმის-რა ამისი... საკვირველია, რადაა ასე: ოდესმე ინგლისი განთქმული იყო ხუროთ მოძღვრების სიკოხტავით. ძველ მონასტრებისა და სამღვდელო პირების შენობანი და დღემდე გადარჩენილი ტაძრები და ციხე-დარბაზები მეტის-მეტად სუფთად, ლამაზად და მოხდენილად არიან აშენებულნი. უესტმინსტერი შიგნიდან ისე საუცხოოდაა აშენებული და მორთული, რომ თვით პარიზის ნოტრ-დამის ტაძარიც-კი ვერ შეედრება.

შნოიანადა თუ უშნოდ, ლონდონელები მაინც ემზადებიან, თავიანთ საყვარელ მეფეს გულწრფელად დაუხვდნენ. ლონდონის ხალხს სწადიან, მეფეს მადლობა გადაუხადოს ნამეტნავად იმისათვის, რომ მეფე საქმეში გაერია და მთავრობას ბურებთან ზავი დაადებინა; ამას გარდა მეფემ კაპის კოლონიის რეაქციონერების ქცევა არ მოიწონა, როდესაც კაპის კონსტიტუციის შეზღუდვა მოინდომეს. ხალხს სწადიან, მეფეს თანაგრძნობა გამოუცხადოს, რადგან მეფე თავმდაბალი, გულკეთილი კაცია და დიდის ინტერესით ადევნებს თვალ ყურს დარიბთა სადგომების გაუმჯობესებას და სახალხო სკოლებს. ხალხში ბევრს ლაპარაკობენ მეფის საკვირველ თავმდაბლობაზე. აი, მაგალითად, რა ამბავს მოგვითხრობენ მეფეზე:

ერთხელ დილით უბრალოდ, პიჯაკითა და კარტუზით, სეირნობდა მეფე ჭ ერთს სოფლის სკოლაში შევიდა. „ვინ დამისახელებს ჩვენს დიდებულ მეფეებს?“—ჰკითხა მეფემ ბავშვებს. ერთმა დაასახელა ალფრედი, ელისაბედი, ვიქტორია და შედგა.—„კიდევ ვინა? —შეეკითხა მეფე.—მასწავლებელმა ჩასჩურჩულა ჭ ბალლმაც წამოიძახა: „ედუარდ მე-VII“ (თითონ მეფე)—„რა დიდებული საქმე გაარიგა ამ მეფემ?“—ბავშვი შეკრთა და გაჩუმებულიიდგა.—„ნუ ჰკრთებიო—მეგობრულად დაამშვიდა მეფემ: მე თითონაც არ ვიცი, რა შესანიშნავი საქმე გაარიგა ამ მეფემ“.

მეფე ყოველთვის მზადაა უბრალოდ, თავმდაბლად და ადამიანურად ელაპარაკოს თავის ქვეშევრდომებს და ქვეშევრდომებსაც ძლიერ მოსწონთ და გულში ჰხვდებათ მეფის გულ-კეთილობა და თავმდაბლობა.

საყვარელ მეფეს კიდე იმისთვისაც უმართვენ ოვაციას, რომ უკანასკნელ წლებში ლონდონელებს გაგიჟებით შეუყვარდათ სხვა და-სხვა სანახავები. თეატრები და სანახავები სოკოსავით მრავლდება. სულ რაღაც 8 წელიწადში 32 ახალი თეატრი აშენდა. ოლიმპია, ორლსკოსტი, ბროლის სასახლე და ალექსანდრეს სასახლე 12-სა, 30-სა, 50 ჭ 150 ათას მოსეირნესა და მაყურებელს იტევენ; ამათ გარდა ლონდონში კიდევ 60 სხვა თეატრია. ბევრში ყოველ დღე ორ-ორ წარმოდგენას ჰმართვენ, ზოგიერთში კიდევ ორ-ორს ყოველ საღამოს; ერთს წარმოდგენას: 6 საათიდან — 9-მდე, მეორეს 9-დან—12-მდე და ისე საშინელი ხალხ—მრავალია ეს ვეება ქალაქი, რომ ყველა თეატრები სავსეა და ანტრეპრენერებიც მდიდრდებიან.

ეხლანდელ დრამასა, შექსპირის პიესების წარმოდგენასა, გამოჩენილ აქტიორებსა და არტისტ-ქალებზე, ნამეტნავად გონიერ არტისტ ფორბს-რობინზონსა და შეუდარებელ არტისტ-ქალ ელენე ტარიზე ცალკე მოგწერთ; ეხლა კი აქაურ თეატრების საზოგადო სურათს დავხატავ. ამ თეატრების მომეტებული ნაწილი ჰგვანან დიდრონ და მდიდრულ კაფე-შანტანებს. აქ, ამა თუ იმ პიესას კი არ ადგენენ, აქ ადგენენ ბალე-

ქალაქმა ამ საქმის მოგვარება. მისის აზრით, საჭიროა, რომ ქალაქმა ისესხოს ეს თანხა 10 წლის ვადით 8%-ით. ამ შემთხვევაში ვალის დასაფარავად ქალაქს ათის წლის განმავლობაში დასჭირდება წლიურად 13-407 მან., ესე იგი—კიდევ დარჩება წმინდა მოგება 4600 მან. ამგვარი მოგება იქმნება მხოლოდ პირველ წლებში, შემდეგ კი, როდესაც აბონენტების რიცხვი იმატებს, მოგებაც მეტი იქმნებაო. „ამგვარად, ამბობს მოხსენების ავტორი, ქალაქს ექმნება ა) სრულიად მუქთი განათება და ბ) თან პირველ ათის წლის განმავლობაში 4600 მანეთი წმინდა მოგება, ათი წლის შემდეგ კი, როდესაც ვალს სრულიად გადაიხდის და აბონენტების რიცხვიც იმატებს,—18,000—20,000 მან. ამ აზრის განსახორციელებლად ბ-ნ ფონ-შულცი ორც საშუალებას უჩვენებს ქალაქს: პირველი საშუალება ის იქმნება, რომ ქალაქმა სხვას მისცეს კონცესიით ეს საქმე 15 წლის ვადით, იმ პირობით, რომ: ა) კონცესიონერმა უფასოდ გაანათოს ქალაქის ქუჩები 75 ფარნით; ბ) კერძო შენობებს თითო 16 სანთლიან ლამპაში გადაახდევინოს თვიურად არა უმეტეს ორის მანეთისა და გ) რამდენი კერძო ლამპაც იქმნება, იმდენი მანეთი გადიხადოს ქალაქის სასარგებლოდ. ამგვარად,—ამბობს—თუმცა ქალაქს ყოველი შრომა და ზრუნვა ასცილდება, მაგრამ მასთან „ლომის კერძიც“ კონცესიონერის ჯიბეს ხვდება, როგორც წყლისაყვანის საქმეში, და ქალაქი თუთხმეტის წლის განმავლობაში 135,000 მანეთს დაჰკარგავსო“.

მეორე, ქალაქისათვის უფრო ხელსაყრელ, საშუალებად მოხსენების ავტორი სთვლის, რომ ქალაქმა ან თვითონვე ნასესხების ფულით იკისროს ეგ საქმე, როგორც ზემოდაა ნაჩვენები, ან და—კიდევ უკეთესი—იჯარით მისცეს გასაკეთებლად რომელსამე ელექტროტეხნიკურ ამხანაგობას, იმ პირობით, რომ ფული გადაუხადოს განსაზღვრულ ვადაში, მაგალითად, ათის წლის განმავლობაში, რისთვისაც, რასაკვირველია, სარგებელიც უნდა უხადოს, მაგალითად, 8%-იო.

ბოლოს ავტორს თავისი მოხსენებიდან ასეთი დასკვნა გამოჰყავს: ა)ქალაქის მიერ ელექტრონულ განათების შემოღება ძლიერ სასურველი და საჭიროა; ბ) ქუთაისი ამის განსახორციელებლად საუკეთესო პირობებს წარმოადგენს; გ) ეს საქმე ქალაქისათვის დიდად სასარგებლო იქმნება და დ) თანაც ქალაქისათვის ადვილად შესაძლებელიაო.

ამ მოხსენებასთან ერთად ბ-ნ ფონ-შულცმა წარმოუდგინა ქალაქის გამგეობას მისგან საგანგებოდ რიგაში ტულმანსის ფირმასთან შეკვეთილი პროექტი ქუთაისში ელექტრონულ განათებისა, შემოსავალ-გასავლის დაწვრილებითი აღრიცხვა და ასეთისავე აღწერილობით ყოველგვარ სამუშაოს აღწერილობა.

იმედია, საბჭო მხედველობაში მიიღებს ამ პატივცემულ ხმოსნის გულწრფელ რჩევას და ამ შემოსავლიან წყაროსაც არ გაუშვებს ხელიდან.

✦ სამშაბათს, 29 ოქტომბერს, ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა ქუთაისში: ვიდაც ორი ნოქარი, ერთი მეფესტისა და მეორე ხარაზისა წადაბრაკებულან. ხარაზის ბიჭი, ხადხის მიერ წაქეზებული, მიჭვარვია მეფესტის ბიჭს და მუტელში სახარაზო დანა ჩაუკრავს. წელებ-კადმოურიდი ეგდო შუა ქუჩაზე და კარეშემო ხადხი შემოსეოდა. ბოდიციელი არსად სჩანდა. ბოდოს მოვიდა ერთი ბოდიციელი და იმის მაგივრად, რომ მომაკვდავი საავადმყოფოში წაეყვანა, ჩაკდა ეტლში და ბოდიციაში გაქანა, თუმცა კი შეგვ-ბირდა, საავადმყოფოში წავიყვანო. ჭრილობა მეტად მძიმეა და საეჭვოა მისი მორჩენა. საკვირველია, ნუ თუ არ იციან ბოდიციელებმა, რომ ასე მძიმედ დაჭრილს ოქმის შეყენება კი არა, ბირგელი შემწეობის აღმოჩენა უნდა?!

პურის ვაჭრობის გაწესრიგების საქმე

31 ოქტომბერს, ბ-ნ სუდთან-კრიმ-კირეის თავმჯდომარეობით, კრება ჭქონდა იმ კომისიას, რომელსაც სამეურნეო საზოგადოებამ დაავალა გახსნილვა თინანსთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილ ბრაექტისა ბურის ვაჭრობის განწესრიგების შესახებ. ამ საღამოს კომისიამ მოისმინა საინტერესო მოხსენება ბ. ს. დამბარაგისა. იგი შეეხება საოფლად კოოპერატიულ საზოგადოებათა და კავშირთა დარსებას. ბ-ნ დამბარაგის აზრით, ამგვარ კავშირებსა და საზოგადოებებს დიდი მნიშვნელობა ექნებათ ბურის ვაჭრობის განწესრიგების საქმეში. ამავე აზრისაა თვით სამინისტრო. სამინისტრო, აღნიშნავს რა ბროექტში იმ სარგებლობას, რომელიც მოიტანა კოოპერატიულმა მოძრაობამ საზღვარ-გარეგ, განსაკუთრებით საფრანგეთსა და გერმანიაში, ურჩევს რუსეთშიაც ამგვარ საზოგადოებათა დარსებას. ამასთან იგი ჭბირდება დახმარებას, სესხს და სხვას.

თავის მოხსენებაში ბ-ნი დამბარაგი დაწვრილებით შეეხო კოოპერატიულ კავშირების კანონს ევროპაში და აგრეთვე იმათ მიერ მოტანილ სარგებლობას. უმთავრესი აზრი ბ-ნ დამბარაგისა ის არის, რომ რუსეთში ამ გვარი კავშირები თუ ხმ მოიკიდებენ და დიდ სარგებლობას მოიტანენ მხოლოდ მაშინ, თუ შეიცვლება ცხოვრების აწინდელი ბირობანი და ხადხი თვით-ცნობიერების ბზას დადგება. კავშირებს აზრად საოფლის ცხოვრების გაუმჯობესება აქვთ, ამისთვის საჭირო თართო საზოგადოებრივი ინიციატივა, უმთავრესად კი თვით-ცნობიერება. აი ამისთვის უნდა იფიქრონ უბირველესად კაცმა. ბ-ნ დამბარაგის აზრით, დღევანდელ ბირობებში შეუძლებელია კოოპერატიული მოძრაობა; ვერაფერს გაწყობს ამისთვის ვერც სესხი, ვერც ბრაბაგანდა და ვერც სხვა რამ, რაც სამინისტრომ მიაჩნია საჭირად კოოპერაციის ადგილძინებისათვის.

ამ აზრს ბევრი არ დაეთანხმა. ბ-ნნი ქადანთარი, ჟურული და სხვანი ამტკიცებდნენ, რომ კოოპერაციამ საოფლად ეხლაც, დღევანდელ ბირობებშიაც, იჩინა თავი. სხვათა შორის, აღნიშნეს, რომ ქუთაისის გუბერნიასა და ამიერკავკასიის სხვა ადგილას გლეხთა შორისაც-კი დარსდა კოოპერატიული საზოგადოებანი. დასასხვლეს აგრეთვე გერმანელ ახალშენთა საზოგადოებანი, რომელთაც მერძეობის საქმე საამხანაგო ნიადაგზე

სასამართლო

სიუალბის ჩადენა

ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, ტფილისის ოდქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატის კანცელარიის მოხელედ ნამუოფის კაბრიელ კარელინისა, რომელსაც ორის სიყალბის ჩადენა ბრალდებოდა. 1901 წლის 3 დეკემბერს სამოსამართლო პალატას სამსახურიდან დაუთხოვნია კარელინი, ამასთან პასუხის გებაში მისცემად იმისი საქმე გამოსაძიებლად გადაუცია. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ კარელინს შემდეგი ბორიტ-მოქმედება ჩაედინა: 1) ტფილისის სამოსამართლო პალატას გასილ ყარალოფის მოკვლისათვის აკოფ ნერსესიანცისათვის სასჯელი გადაწყვეტა. ნერსესიანცს უთხოვნია კარელინისათვის, იმის საქმის დამალვა, რომ დროებით მაინც თავიდან სასჯელი აეშორებინა. კარელინს შეუსრულებია ნერსესიანცის თხოვნა და პალატის გადაწყვეტილების საბოლოოდ ბრძანება დროზე არ შეუმუშავებია. შემდეგ, რათა დაეფარა თავისი უკანონო მოქმედება, თავის ხელით ზედ მიუწერია: „გაუგზავნეთ. ბრძანება ერევნის ოდქის სასამართლოს 1900 წლის 16 ივნისს მოელის საქმის წარმოებით და ნიგთიერ დამამტკიცებელ სამუოებით.“

მეორე დანაშაულობა მდგომარეობს შემდეგში. ოჭანეს შახგელდიანცს პალატამ სუკიასოვის მოკვლისათვის გადაუწყვიტა სასჯელი. რაც დაუმზადებიათ მოწერილობა ოდქის სასამართლოსათვის საქმის აღსასრულებლად, კარელინს ეს მოწერილობა დაუმალავს 1901 წლის 9 ნოემბრამდე. ამასთან რიცხვი წლისა და თვისა წაუშლია და სხვა მიუწერია. მესამე ბორიტ-მოქმედებაც ასეთივეა. სასამართლო პალატის გადაწყვეტილების გამო შემზადებული მოწერილობა გასილ ასრიევის შესახებ კარელინს დაუმალავს; იგი მხოლოდ შემოხვევით 1901 წლის დამდეგს უნახავთ ქალაქებში. ოდქის სასამართლომ, ცოტა ხანს თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო კარელინი და მიუსაჯა ოთხელიანი განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმრობა კამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაგზავნა. კარელინი სასამართლოს განაჩენის გამოცხადებისთანავე დაუპატიმრეს და გაგზავნეს მეტეხის საპყრობილეში.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 **ოქტომბერი**

ხარკოვი. ხარკოვის მაზრაში ერობის სარჯით ტელეფონი იმართება.—დაზოვიას სადგურზე 600 ვაგონზე მეტი ხორბალია შეგროვებული.—ბოგოროვსკის იარმარკა უკანასკნელ დღეებში გაცხოველდა; ისეთებიც იყვნენ, რომელნიც ფულს არ იხდიდნენ.

პარიზი. პეტერბურგის ერთ კაზეთში მინისტრს დელკასეს წინააღმდეგ წერილი დაიბეჭდა. საფრანგეთის ბრესამ ეურადღება მიაქცია ამ წერილს, ვითომ ეს კაზეთი ოფიციალურად სწერდაო, და შეცდომითი დასკვნაც გამოიყვანეს იქიდან. ამის შესახებ კაზეთი „კორესპონდანს ბოდიტიკ“-ი ამბობს, რომ დელკასეს მოდგაწეობის შესახებ მასალა კაზეთმა ამოიღო ფრანგულ-ეურნალიდანაო, და ამტკიცებს: ის რუსული კაზეთი, სადაც წერილია დაბეჭდილი, სრულებით ოფიციალი ორგანო არ არის და, როგორც კერძო ორგანო, ისე გამოთქვა თავისი აზრი, რომელიც რუსეთის პოლიტიკის წარმომადგენელთათვის სავალდებულო არ არისო; რუსეთის პოლიტიკის წარმომადგენელნი ძალიერ აფასებენ დელკასეს დირსებას, რომელმაც ხელი შეუწყო რუს-ფრანგთა კავშირის გაძლიერებასაო.

რუშჩუკი. მეფე, მთავარი და ამალა პორტიმს წავიდნენ; იქ დათვალიერეს ის სახლი, სადაც ბულგარეთთან ომის დროს იმპერატორი ალექსანდრე მე-II და მეფე კარლოსი სცხოვრობდნენ. იქიდან კრეოციას წავიდნენ, სადაც რუმინიის სამლოცველო დათვალიერეს; აქ ბატალიონი იყო ჩამწკრივებული, ბინაეიჩის ბორისის მეთაურობით. მეფემ და მთავარმა გვირგვინი დაადვეს რუსების სასაფლაოს. მერე ბულგარეთს წავიდნენ, აქ ქალაქის მოურავი მიეგება. მეფემ სადღეგრძელო წარმოთქვა, მადლობა გამოუცხადა დახვედრისათვის და მთავრის სადღეგრძელო მიირთვა. მთავარმა თქვა, რომ რუსებმა და რუმინელებმა ერთად დაჭდგარეს სისხლი ქრისტიანობის გასვრეტელებად და ბულგარიის გასათავისუფლებლად და რუმინიის მხედრობის და იმის მეთაურის სადღეგრძელო მიირთვა. მეფე და მთავარი აქედან გემით წავიდნენ მაგურელს, სადაც ერთმანეთს გულითადად გამოეთხოვნენ.

გატჩინა. მოგიდა ხელმწიფე-მემკვიდრე.

ბელგრადი. ტუნიდია ის ხმა, ვითომ სკუპშჩინას მოწვევის გამო მინისტრთა საბჭოში უთანხმოება ჩამოვარდაო.

ბრიუსელი. კაზ. „ელეკტრიკ ბელგ“-ი იუწყება, რომ კრასი თელანდრიისა უარს ამბობს ბელგიის ტახტის მემკვიდრეობაზეო; მემკვიდრედ ბრინცი ადბერტი გამოცხადდებაო.

გიბრალტარი. ტეუტიდან იტყობინებიან: ტეტუანს ისპანიის გემი წავიდა, რომ იქიდან ევროპელები გამოიყვანოს, რადგან საშიშ მდგომარეობაში არიანო.

იალტა. 30 ოქტომბერს დიგადიაში წარუდგნენ ხელმწიფე იმპერატორს ტავრიჩესკის თავად-აზნაურთა წინამძღოლები და ერობათა გამგეობის თავმჯდომარენი. გუბერნიის წინამძღოლი სკადოვსკი სიტყვით მიესალმა ხელმწიფე იმპერატორს და მოახსენა, რომ ადგილობრივი თავადაზნაურობა ბედნიერად სთვლის თავისს თავს მიესალმოს ხელმწიფე იმპერატორსა და იმის უკანასკნელს სახლეულობას ტავრიჩესკის გუბერნიაში და მადლობა მიუძღვნას მოწყალეობისათვის—თავად-აზნაურთათვის კასსების დაარსების გამო და იმ სიტყვებისათვის, რომელიც კურსკის ადელუმებზე წარმოთქმული იყო. ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა გადაუხადა გრძნობათა გამოცხადებისათვის. მერე სგუბერნიო ერობის გამგეობის თავმჯდომარე ხარჩენკო მიესალმა ხელმწიფეს, მიუდგა უკანასკნელის სახლეულობის იერიმში მშვიდობით ყოფნა და მადლობა მიუძღვნა იმისათვის, რომ განსაკუთრებული სიბრძნე შესდგა სამეურნეო მრეწველობის დაქვეითების გამოსარკვევად და იმის განსუმჯობესებლად საშუალებათა მიდებისათვის. ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა გადაუხადა და მოწყალედ გამოჭვითხა ცალკ-ცალკე მაზრების საჭიროებანი.

პეტერბურგი. 1903 წლის 1-დ იანვრიდან ფოსტით გასაგზავნ ფულებსა თუ ნივთებზე დასაზღვევ გადასახადს უნდა მოუკლონ და ეხლანდელის ნახევარი აიღონ.

1 **ნოემბერი**

მოსკოვი. მთელს ქალაქში ტრამვაების გამართვისათვის ნაანგარიშევია 40 მილიონი მანეთი და უნდა დასრულდეს ხუთ წელიწადში.

მადრიდი. მაროკოში მდგომარეობა მეტად სერიოზულად მიიჩნიათ, განსაკუთრებით ტეტუანში, სადაც ევროპელებს შიში აქვთ, ქალბილები არ დაგვეტენონო.

სან-ფრანციასკო. სანტა-მარიას (გვატემალაზე) ვულკანმა ამოეხეთქა და ერთიანად დაანგრია სოფლები პალმარი, სან-ფელიპე, კოლომბია და კოატეპაკი. ბევრიც დაიხოცა.

ტანჟერი. მაროკოს მთავრობამ გემი „თურქი“ გაგზავნა ტეტუანს იქაურის ფაშის მისაშველებლად, თან იარაღები და ხორაგეულობა წაიღო. ბენიდერის ქალბილები ქალაქს ემუქრებიან, თუ დაჭერილებს არ გაანთავისუფლებთო.

გიბლასტარი. ინგლისის სამი ჯავშნიანი სამხედრო გემი ტეტუანს წავიდა.

ლონდონი. დღეს წავიდა აქედან ტანჟერს კიდ-მაკლეანი, მაროკოს სულთანის შტეველების უფროსი.

ლენსი. ქვა-ნახშირთა მეშეების კონგრესმა დადგინა, მეშობა დავიწყოთო.

პარიზი. სამხედრო ტანთსაცმელში გამოწყობილმა ვიღაც ფელდფებელმა პალატაში რევოლვერი ოთხჯერ გაისროლა და თან წამოიძახა: „სამშობლოს გაუმარჯოს!“ გამსროლი დატუსაღეს. როგორც ეტყობა, ბაკუზე შემცდარი უნდა იყოს.

ბელგრადი სესხის შესახებ მოლაპარაკება კარგად მიდის. ვუიჩი საფრანგეთის ფინანსთა მინისტრს მოელაპარაკა და, როგორც ეტყობა, ნებას მისცემენ პარიზის ბირჟაზე გამოიტანონ სესხის ქალაღლები გასანაღდებლად.

ბუქარესტი. მეფე სიანიას დაბრუნდა.

ბელგრადი. სადამოს გაზეთები იუწყებიან, ვითომ მინისტრების სამსახურიდან გამოსვლას მოელიანო.—გაზ. „სრბსკა ზასტავა“-ს რედაქტორს ციხეში ერთის წლით ჩაჯდომა მოუსაჯეს მეფის შეურაცხყოფისათვის.

ლონდონი. კონსერვატორი გიტონი პალატაში დაეკითხა აუსტინ ჩემბერლენს: მოგეხსენებათ თუ არა, რომ ჩინეთიდან წერილი ხმადეთით მე-26 დღეს მოდის დონდონს, გემითკი მხოლოდ მე-44 დღეს და გნებავთ თუ არა ამ კარემოებას ყურადღება მიაქციოთ, რაც საფოსტო წესების კანხიდვის შეუდგებითო? ჩემბერლენმა მიუგო: მართალია, შეიძლება ჩიფუდან წერილები მე-26 დღეს მივიდოთო. რაც საფოსტო წესების შეცვლას შეეხება, ამ-ვადში, ციმბირის გზას უეურადღებოდ არ დავსტოვებთო.

ბერლინი. რომიდან გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ, რომ სირომბოდის ვულკანმა მოულოდნელად მოქმედება დაიწყო. კუნძულის მცხოვრებნი შეშინებულნი არიან იმითი, რომ ვულკანმა წვიმასავით სქელად ფერფლი გადმოჭეარა, ნაღული გადმოანთხია და მიწაც იძვრის.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრი სლუჩევსკი, თანახმად მისის თხოვნისა, განთავისუფლებულ იქმნა „პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ის უფროს რედაქტორობის მოვალეობისაგან და იმის მაგიერ დანიშნა მინაგან საქმეთა მინისტრთან განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელე მე-5 კლასისა კულაკოვსკი.

ლონდონი. მალკოლმი შეეკითხა პალატაში: გენაში ინგლისის ელჩად ყოფილმა რუმბოლდმა მიიღო მთავრობისაგან ნება, თავისი მემუარები დაებეჭდა „ნაციონალ რევიუ“-შიო? კარნბორმა მიუგო, რომ ამის ნება არ უთხოვნიათ და მემუარების მთავრობის ნება-დაურთველად გამოქვეყნება უნდა სასტიკად გაკიცხულ იქმნეს, თუ ახალ დროის ამბებს შეეხება და ამათ შესახებ ცნობაც ოფიციალურად მიღებულია.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 25 ოქტომბერს

გექსიდის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	45,90
პარიზზე 100 ფრანკში	37,37½
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,25
კარიზზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅛ გაყიდ
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 „
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	94½ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	479½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89¼ „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	89⅜
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქციანი	206½ „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ‘ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 5. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ფოთამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილისი-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკევობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ძუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ფოთამდე:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ძუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მაიის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—41)

იყიდება

სამ-სართულიანი

სახლი

დუქნებით და ფლიგელით, იძლევა 8%-ს წმინდა შემოსავალს. იკითხეთ ბაზრის ქუჩაზე სახლი № 8, დილით 9—10 საათ. და საღამოთი 5—6 საათ. (10—8)

ხის

ნახშირის საწყობი

იაგოლ მამინაიშვილისა

(სკუთარი ტეიდან)

გერის მოედანზე, ვაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**).

ტელეფონი № 754 (წ.).

მიიღება ხელის-მოწერა ჟურნალ

„მოგზაურ“-ზე

1903 წელს ჟურნალი **„მოგზაური“** გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით. მასში დაიბეჭდება პედაგოგიური, სამეურნეო, სამეცნიერო, საისტორიო და სხვა გვარი წერილები. ყოველ საუკეთესო წერილს რედაქცია ამავ დროს ცალკე იაფ-ფასიან წიგნადაც გამოსცემს ხალხში მრავლად გასავრცელებლად.

ეს გარემოება, იმედია, აამოძრავებს მთლად ჩვენს სახალხო მწერლებს და ბევრს ისეთებსაც ააღებინებს კალამს ხელში, რომელთაც აქამდის სრულიად დაკარგული ჰქონდათ ხალისი ხალხისათვის წერისა, რადგანაც გამომცემელი არ ეშოვებოდათ. იმედია, ამ გვარათვე არც მკითხველი საზოგადოება მოეკიდება გულ-გრილად ჩვენს ასეთს განზრახვას და ხელს მოგვიმართავს როგორც ხელის-მოწერით, ისე წიგნების გავრცელებით ხალხში (ერთმა პატივცემულმა გვამცა რა ნახა ჩვენი იაფ-ფასიანი წიგნები, მაშინვე იყიდა სამი მანეთისა სოფელში მუქთად დასარიგებლად).

მოხსენებულის თანახმად „მოგზაურის„ რედაქციამ ამ ორს თვეში უკვე გამოსცა ხუთმეტზე მეტი შაურიანი წიგნი, ვითარცა: „წერილი სოფლელ მუშას“, „დიფტერიტი“, „დედა-აზრი მეცნიერებისა“, „თეოლოგია-ფილოსოფია და მეცნიერება“, „რა არის გონებითი გახსნა-განვითარება“, „პურის მოყვანა ჩინურ-იაპონიურის წესით“, „რისგან იხოცებიან უდროვოდ ჩვენი ბავშვები“, „დანაშაულობა-დამნაშავენი“, „რაშია ბედნიერება“, „სარკე გურულთა ცხოვრებისა“, „აბრასკილი“, „მეურნეობა და პირადი მუშაობა-მოქმედება“, „როგორ არჩენენ ადამიანებს დანით“, „სულით ავათმყოფი მოსწავლენი“ და სხვ. და სხვა. პირველი და მეორე ნომერი „მოგზაურისა“ გამოვა იანვრის პირველს რიცხვებში.

ფასი ჟურნალისა იგივეა, ესე იგი **5 მანეთი** გაგზავნით, მასწავლებელთათვის და ხელ-მოკლე დაწესებულებათათვის—**4 მანეთი.**

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ტფილისს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Редакція «Могзаури» (Межев. № 72).

(Ш. 6—3) რედაქტორ-გამომცემელი **ივანე როსტომაშვილი**

Дозв. ценз. Тифлисъ, 1 Ноября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. კომო. ქარა. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)